№ 164 13 მარიამობისთვე, კვირა 1866–1878 13 მარიამობისთვე, კვირა № 164

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაღოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: ერთის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ, პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდავი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

### ხელის-მოწერა გაზეთს „დროებაზე"

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაღოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"*.

## საქართველო

### როგორ უნდა ბათუმში შესვლა?

ბათუმი და იმის მაზრა, ორივე აჭარები (ქვემო და ზემო) და ჭობულეთი ჩვენ დაგვრჩა; ბერლინის კონგრესმა მოგვანიჭა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყოველის მხრით მოგვდის უსიამოვნო ამბავი, რომ ხალხი წინააღმდეგობის გაწევას აპირებსო, ოსმალოს ჩინოვნიკებისა და ინგლისელების ჩაგონების წყალობით, ხალხმა გადაწყვიტაო, რომ რუსს არ შემოუშვებთ ჩვენს ქვეყანაშიო, და თოფ-იარაღისათვის ხელი აქვს მოკიდებულიო. შესაძლებელია, რომ ეს ხმები მართალი ხმები იყვეს; შესაძლებელია, ბათუმის მაზრის მცხოვრებლებს გარდაწყვეტილი ჰქონდესთ, რომ გზაზე დაუხვდნენ იმათ ქვეყანაში შემავალს რუსის ჯარს და ეცადონ იმათი გაჩერება სამზღვარზე.

მაგრამ კიდეც რომ ასე იყოს ეს, მოიპოება სხვა-და-სხვა საშუალება იმისთვის, რომ ეს წინააღმდეგობა, თავიდამვე მოსპობილი თუ არა, შემცირებული მაინც შეიქნეს.

უპირველესი და საუკეთესო საშუალება ამისთვის ის არის, რომ ბათუმში შემავალ რუსის ჯარებმა თავის მოქმედებით, თავის კეთილშობილურის ქცევით დაუმტკიცონ ხალხს, რომ ისინი (რუსობის წარმომადგენელნი) მართლა მტრებად, მართლა ქვეყნის ასაკლებლად და ხალხის გასაჟლეტად კი არ მიდიან, როგორც მოლლები და სხვები უქადაგებდნენ და არწმუნებდნენ ხალხს, არამედ მიდიან როგორც თანამოძმენი, როგორც მეგობრები.

ეს საუკეთესო პოლიტიკა არის აღელვებული ხალხის დასამშვიდებლად. რაც უნდა გაბრაზებული და წინათვე საწინააღმდეგოთ მომზადებული იყვეს ხალხი, როცა ლმობიერად, კეთილშობილურად, პატიოსნად და ტკბილის სიტყვით, ტკბილის მაგალითით მოექცევი, დარწმუნებული იყავი, რომ ის გააგდებს ხელიდამ თქვენზე დამიზნებულ თოფს და თუმცა პირველად განზე და იჭვნეულად დაგიწყებს ყურებას, მაგრამ ბოლოს კი ბედს დაემორჩილება და წინააღმდეგობას აღარ გაგიწევს.

მეორე საშუალება ის არის, რომ ბათუმში შემავალ ჩვენს ჯარს მიუძღოდეს წინ ისეთი პირები, რომელთაც იქაური მცხოვრებლები კარგის მხრით, კაი კაცებად იცნობენ. ამისთანა კაცები გვყვანან ჩვენ; ამას წინათაც დავასახელეთ ესენი და ახლაც ვასახელებთ: ესენი არიან: თ. გრ. გურიელი და უ. მ. მეფისოვი. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ ჩვენს ჯარს თ. გრ. გურიელი წაუძღვება წინ, ქობულეთლები და საზოგადოთ ბათუმის ქართველები, რაც უნდა მოხდეს, თავის დღეში თოფს არ გაისვრიან.

მესამე საშუალებაც კიდევ ის არის, რომ ჩვენმა მთავრობამ ადგილობრივს ენებზე (ქართულზე და თათრულზე) გამოსცეს პროკლამაცია და გამოუცხადოს ხალხს, რომ ის მეგობრად და არა მტრად შედის ბათუმის მაზრაში, რომ ხალხის მიწა-წყალსა, სარწმუნოებას და სახლ-კარს ხელს არ ახლებს, რომ ის ეცდება შეუმსუბუქოს ხალხს, და არა დაუმძიმოს, ცხოვრების ტვირთი და სხვ.

ყველა ეს საშუალება რომ ვიხმაროთ, უეჭველია, სისხლის ღვრას და ამ თავითვე ჩვენსა და იმათ შუა მტერობას ავიცილებთ თავიდამ.

დიდი რამ არის ამ თავითვე, პირველ შეხვედრაზედვე კარგის მხრით ჩვენი გაცნობა და დანახვა იმათგან. თუ ამას მოვახერხებთ, მერე ყველაფერი იმ გამგეობაზე, წესდებულებაზე და გამგებლებზე იქნება გამყარებული, რომელთაც ამ ახლად-შეძენილს მაზრაში დაადგენენ.

ს. მ.

---

### დღიური

*** გაზეთს „ობზორში" დაბეჭდილია „ამბობენ, რომ კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის თანაშემწე თ. სვიატოპოლკ-მირსკი წასულა ბორჯომიდამ ოზურგეთში სახელმძღვანელოდ იმ ჩვენი ჯარებისა, რომელნიც ახლად-შეძენილის ბათუმის მაზრის დასაჭერად უნდა წავიდნენ. ჩვენ შევიტყვეთ აგრეთვე, რომ ჩვენს სამხედრო მთავრობას მიუღია ყოველი ღონის-ძიება, რომ, ბათუმის დაჭერის დროს, ჩვენს ჯარებსა და ხალხს შუა შეტაკება ან სხვა რომელიმე უბედური შემთხვევა არ მოხდეს".

*** დიდის მთავარის კავკასიის ნამესტნიკისაგან გამოცხადებულის განკარგულებიდგან ვტყობულობთ, რომ ქვემოხსენებულს ადგილებში ამ 1 აგვისტოდამ უნდა მოისპოს სამხედრო მდგომარეობა, რომელიც გავლილი ომის დაწყებისათანავე იყო გამოცხადებული: ბაქოს გუბერნიაში, ნუხის უეზდში (განჯის გუბერნიის), თფილისის გუბერნიის დუშეთის, გორის, სიღნაღის, თელავისა და თიანეთის უეზდებში, ზაქათალის მაზრაში, ერევნის გუბერნიაში, ყუბანის მაზრაში და თერგისა და დაღესტნის მაზრის ყველა უეზდში.

სამხედრო მდგომარეობაში დარჩებიან: თფ. გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის, უეზდები ერევნის გუბერნიის ალექსანდრაპოლის, ეჩმიაძინის და სურმალინის უეზდები, მთელი ქუთაისის გუბერნია, სოხუმის მაზრა და შავი ზღვის ნაპირა მაზრა.

ამას გარდა პოისპობა თანამდებობა ალაზნის ჯარების უფროსისა და ბაქოს, ერევნისა და ელისავეტოპოლის გუბერნატორებს ჩამოერთმევათ უფლება ამ გუბერნიებში დაყენებული ჯარების უფროსობისა.

*** ნეტავი რას აკეთებს ის კომისია, რომელიც წელს მაისში ამოირჩია თფილისის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამ იმ განზრახვით, რომ კახეთზე რკინის გზის გაყვანა იშუამდგომლოს უმაღ-

ლესს მთავრობასთან?

მართალია, ახლა სიცხეებია; მაგრამ, თუ ხან სიცხეს უყურეთ, ხან სიცივეს, თითო-ოროლა მიზეზი არ დაგველევა და მანამ ეს საქმე კი გადაწყდება, ხელიდამ წაგვივა...

⁂ კახეთიდამ გვწერენ, რომ იქაური ვენახები მხოლოთ რამდენსამე ალაგას არის გაფუჭებული ნაცრისაგან, მომეტებულს ნაწილს კი ავათმყოფობა სრულებით არ მიჰკარებია. ღვინო და პური ამ უკანასკნელ დროს ძალიან გაეფებულა განსაკუთრებით თელავის უეზდში. ხილი წელს საზოგადოთ კახეთში ძალიან ნაკლებად მოსულა; მაგრამ ბარის ლეკებს ჩამოაქვთ ბევრიო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ართაანი, 4** მარიამობისთვეს. სრული სიჩუმეა არტაანში.

კარტის და ბოთლების მეფობა გახლავს.

ყველა კაცი თავისთვის ცხოვრობს; თავის დარდს თავის გულში იკლავს. ჭორები სულ არ გვესმის, რადგან იმისი წარმომადგინელები—ქალები არ არიან არტაანში. ხანდისხან კი ხდება კაცებში (განათლებულებში) ცხვირ-პირის ნტვრევა, მაგრამ ისევ მალე ჰრიგდებიან ხოლმე, რადგან იგივე წამაჩხუბარი კურთხეული ბოთლი მომრიგებელი მოსამართლეთ იქცევა....

მეომრეები ხომ დიდი ხანია ბანაკად არიან მინდვრებში. საავადმყოფებიც მიებაძნენ იმათ. თუმცა ჩვენ სახლებშიაც გვცივა, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან, გეკონება ბუნებას ეჯიბრებიან:

—„აბა ვნახოთ, შენ მოგვერევი, თუ ჩვენაო!“

მეომრები თავისთვის სცხოვრობენ ბანაკში, სამოქალაქო მოხელეები ქალაქში—ჩვენს არა დასავიწყარ ვაჭრებთან. ჩვენ არც მივალთ იმასთან და არც მივდივართ. ისინი კი მუდამ გვესტუმრებიან. კინტოსი არ იყოს: „ხტო ლუბით, სამ პრიდოთო“, როცა კუჭის გაძღობის და ყელის ჩალბობის დრო დაუდგებათ, მაშ სად უნდა წავიდნენ? ან სასტუმროში, ან ტრაქტირში, ან ალისყიზილბაშის სასტუმროში—აშხანაში.

უსაქმო ენებით ბევრს ლაპარაკობენ: ზოგი ამბობს, ჩვენი არტაანის ატრიადი ართვინში უნდა გაემგზავროსო; ზოგი ამბობს, არაო, და უმატებენ სხვა ბევრსა.

არაფერის დაჯერება არ შეიძლება ახლა; იმისთანა დროა, რომ თუ თვალით არ დაინახო ერთი რაიმე, ლაპარაკით და სხვისი ნათქვამით არ უნდა დაიჯერო.

მეზობელმა რომ გითხრას: იმის მეზობელს ხარი უყიდნია, სანამ ხარს თვალით არ დაინახავს ან ამ ხარს ვიზიტს არ გაუკეთებ, ან ზედ-მიწევნით არ გეცოდინება: მართლა იმის მეზობელს შეეძლო ხარის ყიდვა, არ დაიჯერო, რომ ის ხარი იყოს; ის ან კატა იქმნება, ან ხბო...

კარგი ამინდებია ჩვენკენ; მაგრამ.... მაგარი ის არის, რომ დღეს როგორღაც დასავლეთისკენ—შავი ზღვისკენ ცა მოღრუბლულია: კუხს. როგორც კუხს, თუ ისე იწვიმა, ბევრი უნდა გვატიკტიკოს....

ს. ბავრელი.

# ომის შემდეგ

## ოსმალეთი

გაზეთი „Morning Post“ გვაცნობებს, რომ ამ მომავალ 13 ენკენისთვეს შეიკრიბება სტამბოლში უცხო ქვეყნების კომისარები, რომელნიც მოილაპარაკებენ იმის თაობაზედ, თუ როგორი მმართებლობის წესი და რა ცვლილებები უნდა შემოიღონ აღმოსავლეთს რუმელიაში (სამხრეთ ბოლგარიაში).

## ბოლგარია

ვენელი კორრესპონდენტი გაზეთის „ტაიმსისა“ იწერება, რომ რუსეთი, ინ-

# ფელტონი

## ქართველები და ლოგიკა *)

კარგია, თუ ცუდი, რომ ქართველები მარტო სამოც დღეს წელიწადში ხორცეულს საჭმელს სჭამენ? ამ საგანზე ქართველი არას დროს არ დაფიქრებულა, მისთვის სულ ერთია, რაც უნდა ჩაყაროს მუცელსა შინა თვისსა. მარამ მსწავლულებს კი ამ საგანზედ ბევრი მსჯელობა და ფიქრი ჰქონიათ და აი რა დაუმტკიცებიათ:

ცხოველები, მათის ჰაზრით, განიყოფებიან სამ გვარათ: ლეშ-მჭამელნი (მტაცებელნი), ბალახ-მჭამელნი (შინაურნი) და კაცი, რომელიც საჭმელით ორივეს ჰგავს. პირველ გვარს ეკუთვნიან: ლომი, მგელი, ვეფხვი, მელა, ტურა და სხვანი; მეორეს—ცხენი, ხარი, აქლემი, ვირი, თხა, ირემი, ცხვარი.

მტაცებელი ცხოველები, რომელნიც იკვებებიან ლეშით, არიან ღონიერნი, გონება მათ აქვს გამჭრიახე, არიან მხნე და მამაცნი, იციან თავის დაცვა მტრისაგან, რისთვისაც ხმარობენ სხვა-და-სხვა მოხერხებას, უყვარსთ თავისუფლება, რომლის დასაცველად ებრძვიან მტერს უკანასკნელ სისხლის წვეთის დალევამდინ.

ბალახ-მჭამელ ცხოველებში ეს თვისებეები ნაკლებათ არის; ისინი ადვილათ ემორჩილებიან მტერს; უფრო სუსტი არიან როგორც გონებით, აგრეთვე სხეულით.

ამ გვარივე გავლენა აქვს ხორცეულს და მცენარეულ საჭმელებს კაცის ბუნებაზედაც.

აბა შევადაროთ ერთმანერთს ევროპის და აზიის ხალხნი. ევროპის ხალხი არ სწყალობს მცენარეულ საჭმელს, მათ მუდამო საკვებარს შეადგენს ხორცეულობა. აზიის ხალხი კი უფრო მცენარეულს ეტანება. ახლა შეადარეთ ორივეს გონებითი მდგომარეობა: აზიის ხალხი რამდენიმე ასი წელიწადი სდგას ერთ წერტილზედ, არ სდგამს წინ ნაბიჯს; ევროპის ხალხი კი ყოველ წელიწადში წინა-და-წინ სდგამს ნაბიჯს. მას აქეთ, რაც ევროპიის ხალხმა ისტორიული ცხოვრება მიიღო ვიდრე აქამომდე დაბადა ქვეყანაზედ მრავალნი იმისთანა გენიოსები და ტალანტები, რომელნიც გახდნენ მთელი ქვეყნის ვარსკლავებათ, აყვნენ პიონერები სალხისა, მათით დგებოდა ეპოქა. ამ პირთა წყალობით ევროპა ისეთს ამაღლებულ

ტო თავის გონების ძალით თითქმის მთელი ქვეყანა.

პატარა, მარამ ძლიერმა ინგლისმა დაიპყრა მდიდარი ბუნებით და უმრავლისი მცხოვრებლებით ინდოეთი. მთელ ინდოეთში ირიცხება 200 მილიონზე მეტი ხალხი, და ეს ამოდენა ერი ვერ ჰბედავს აღუდგეს მცირე ინგლისის ხალხს, რომელიც აშინებს მათ თავის 80—100 ათასის ჯარით, რომელსაც ინდოელნი, რომ გაბედულება ჰქონდეთ, უ-იარაღოთაც გაჰსჭყლეტდნენ ხელში. დაუგდოთ ყური, რას ამბობს ამათზედ გამოჩენილი ფრანცუზის მწერალი:

„ყოველ კაცსა აქვს გრძნობა და ლტოლვილება დამოუკიდებლობისადმი; ინდოეთის ხალხში ეს გრძნობა ყველაზე უმეტესათ არის განცხოველებული. ამის მიზეზი ის არის, რომ ეს ხალხი სცხოვრობს ცხელ ტროპიკულ ადგილს, არის მეტად მხურვალე და მგძნობიარე და ბუნებით ალცაცებული. ეს არის მეტად ფანატიკური ხალხი და ადვილათ ანთებაში მოსაყვანი. ბარნა ინდოელნი ყოველთვის ადვილად დაემორჩილდებოდნენ ხოლმე ვინც კი არ შეხვდებოდათ. ამ დროშიაც ისინი ითმენენ ინგლისთა მძიმე უღელს. ეს 200 მილიონი ხალხი 100 ათასს ინგლისის ჯარს ემონება! ამათი ერთი განძრევა—და გან-

*) „დროება“, № 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისი და ავსტრია დათანხმდნენ ერთმანეთშიო, რომ ბოლგარიის ტახტზე აიყვანონ თ. დიმიტრი ბიბესკოს მესამე ვაჟი თ. გიორგი ბიბესკო. ამბობენ, რომ გერმანიაც ამ პროექტზედ წინააღმდეგობას არ გამოაცხადებსო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, ენკენისთვეში ქ. ტირნოვოში შეიკრიბებიან ევროპის სახელმწიფოების დანდობილი პირები, რომელნიც მოილაპარაკებენ ოსმალეთისაგან განთავისუფლებულ (ჩრდილოეთ) ბოლგარიის სახელმწიფო წესისა და წყობილობის დადგენაზედ.

## რუსეთი

გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილია ბურგასიდამ 3 აგვისტოს მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ სანსტეფანოში მყოფის რუსის ჯარების ხომალდებში ჩასმას და ოდესისაკენ გასტუმრებას ხვალ, 4 აგვისტოს, დაიწყებენო. ორი თვის განმავალობაში ე. ი. ღვინობისთვემდინ, მთელი ჯარები გადმოყვანილი უნდა იქნესო.

— ამავე გაზეთში იწერებიან, რომ ჩვენი ჯარები 25 ივლისიდამ ვარნაში იმყოფებიანო. ოსმალოს ჯარები (სულ 20,000 კაცი ყოფილა) ხომალდებზე დაუსვამთ და სტამბოლში გაუგზავნიათ.

## სპარსეთი

ერთს პარიჟის გაზეთში დაბეჭდილია თეირანიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ სპარსეთის შაჰი უკვე მისულა თავის სატახტო ქალაქში. მისვლის უმალვე იმას მოუხმია თავის მინისტრები და სხვა წარჩინებული პირები და გამოუცხადებია იმათთვის თავის სრული კმაყოფილება იმის თაობაზედ, რომ ევროპის სახელმწიფოებმა დიდის პატივის-ცემით მიიღესო.

## ავსტრია

ვენიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ ოც-და-ათი ბატალიონი ოსმალეთის რეგულიარული ჯარისა შეერთებია ბოსნიის აჯანყებულებს. იმედი არისო, ამბობს გაზეთი „პრესს“, რომ მეჰმედ-ალი-ფაშა, რომელსაც ბოსნიელების დამშვიდება აქვს ხონთქრისაგან მინდობილი, ამ საქმეს მალე შეასრულებს და ამნაირად ჩვენი ჯარი თავისუფლად დაიჭერს ბოსნიასა და ჰერცოგოვინასაო.

## რუმინია

რუმინიის ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია ამ სახელმწიფოის მთავრის კარლოსის ბრძანება, რომლის ძალითაც მომეტებული ნაწილი რუმინიის ჯარისა დათხოვნილი უნდა იქნეს და ისეთს მდგომარეობაში დარჩება, როგორც მშვიდობიანობის დროს არის ხოლმე.

# ნარევი

## შეფ-ჟანდარმის ღენ. მეზენცოვის მოკვლა

დღევანდელის ფოჩტით მოსულს რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია უფრო დაწვრილებითი ამბავი ჟანდარმების თავის ღენ.-ადიუტ. მეზენცევის მოკვლის შესახებ, რომელიც ამ დღეებში მოკლეთ გვაცნობა ტელეგრამმამ.

აი როგორ ყოფილა საქმე:

4 აგვისტოს, დილის 9 საათზე, ღენერალ-ადიუტანტი მეზენცოვი გამოვიდა თავის სახლიდამ, რომ ჩვეულებრივად ესეირნა ნევის პროსპექტზე. იმას ახლდა თან პოლკოვნიკი მაკაროვი

მიხაილოვის მაედნის და იტალიის ქუჩის კუთხეზე იმათ დაინახეს ვიღაც ორი ახალგაზდა ყმაწვილი, რომელნიც ალოაყაფის კარებში შევიდნენ. ყურადღება არ მიაქციეს.

მაგრამ მიუახლოვდნენ თუ არა ამ კარებს, ერთი ამ ყმაწვილ კაცთაგანი გამოვარდა უეცრად კარებიდამ, ჩაჰკრა მუცელში ღენ. მეზენცოვს ხანჯალი და გაიქცა.

პოლკოვნიკი მაკაროვი გაეკიდა იმას და თან დაიწყო ყვირილი: „დაიჭირეთ! დაიჭირეთ!“ ამ დროს მეორე ამხანაგი წამოეწია იმას, ესროლა ორჯერ რევოლვერი და გაარეტიანა, თუმცა ტყვია არ მოხვედრია.

ეს ყმაწვილი კაცები კი საჩქაროთ ჩასხდნენ დროჟკაში, რომელიც იქვე უცდიდა და რომელშიაც მშვენიერი ცხენი იყო შებმული, და გასწიეს.

ღენ. მეზენცოვს მოჰკიდეს ხელი, ჩასვეს ფაეტონში და შინ მიიყვანეს. ექიმებმა ყოველი ღონის-ძიება იხმარეს, მაგრამ ვერა უშველეს-რა: საღამოს 5 საათზე მოკვდა.

---

ში ბორკილს უყრის ფეხებში. 1857 წელს ისინი აღუდგნენ ინგლისელებს, გამოსჭრეს მრავალს ყელი;—მერე რა გამოვიდა? ამ 200 მილ. ხალხს შაეშინდა ერთი მუჭა ხალხისა და ისევ დაემორჩილა!...

„რა მიზეზია, ამბობს ის შემდეგ, რომ ინდოელთა არ შეუძლიან ჰსძლიონ თვის სიმხთლე? სხვათა შორის საჭმელი, რომელსაც ჩვენ აგებულებაზედ დიდი გავლენა აქვს. როგორც ვიცით, ინდოელები და ჩინელები იკვებებიან განსაკუთრებით ბრინჯით, ბოსტნეულობით და რამე ნაირ გამხმარ თევზით. ეს საჭმელი ულონოა და არ აძლევს კაცს სიმაგრეს, და იგი უნდა იყოს მიზეზი, რომ ინდოელთ არ შაუძლიანთ წინააღუდგნენ უცხო ხალხის ჯარს, რომელიც იკვებება ხორცით.“

ხორცი, და არა ლობიო და ბოსტნეულობა, ამაგრებს კაცს გონებით და ფიზიკურად.

აბა შეადარეთ ჩვენი ქალაქის ვაჭრები, რომელნიც უმეტეს ნაწილად მცენარეულ საჭმლით იკვებებიან, ხორცის მჭამელ ხალხს; შეადარეთ ორივესი ტანის წყობილება. ვაჭარს თავი აქვს პატარა, ტანი მეტად დიდი, მუცელი უდიდესი, მუხლი გადაწეული, გული პატარა, თვალები გადმოკუსული და უაზრო. იგი [illegible]

მყოფისა არის. ვაჭარი ზის ერთ ადგილსა, ან ნელა იძვრის, ამაყობს თავის მუცლით. არაფერი მას არ აღელვებს, კეთილისათვის არ გაინძრევა; დაუნდობლობით, ანგარებით, მატყუვრობით და სხვა სისაძაგლით მისი მუცელი სავსეა. ამისთანა მოშიშარს, როდესაც ნამდვილ შიშს ხედავს, ვერა ნახავ სხვა კაცს.

ევროპიელი წარმოგვიდგენს ამის წინაღმდეგ სურათს. თავი გრგვალი, შუბლი მაღალი, თვალი გაძჭრიახე, შეხედულება ჭკვიანი, გული ფართო, მაგარი, მუცელი ზომიერი. იგი მოძრავია, გონებითი მუშა და პატიოსანი.

შეადარეთ ახლა ჩვენი ლობიოს და მცენარეულობის მჭამელი გლეხი ევროპის გლეხს; ჩვენი გლეხი თავის ლაბასთან ერთ უღელში აბია, მასთან ერთათ, ერთნაირად ეწევა უღელს და მუშაობს რაც შაუძლიან; ნამეტან და უხერხო მუშაობისაგან, უხეირო საზრდოს მიღებისაგან ჯან-მიხდილია, ფერ-დაკარგული. ტვინით ცოტას მუშაობს. ეს ვერა ჰბედავს გამოცვალოს მამა-პაპური სამუშაო იარაღი და მის მაგიერ იხმაროს ახალი, უფრო საადვილო და მოხერხებული, რომლის საშუალებით ერთი ათათ მოიგებს დროს, ძალას, ცოტას დახარჯამს, უფრო კარგათ გააკეთებს საქმეს, და ის ძალა და დრო მოიხმაროს კიდევ თავის [illegible]

რა არის ჩვენი გლეხი? არსება გაუნათლებელი, გაუბედავი, უაზროთ მომუშავე, მცენარეულთ მჭამელი ორფეხა ცხოველი, რომელიც, ლაბასაგან განირჩევა ენით და მომეტებულის ჭკუით! აი როგორი ადამიანი წარმოგვიდგინა ჩვენ მცენარეულმა საჭმელმა! *)

(დასასრული შემდეგ №-ში)

---

*) ერთობ შორს გასწია ჩვენმა ავტორმა... უეჭველია, რომ საჭმლის, საზრდოის თვისება, ხალხის ხასიათზედ და მდგომარეობაზედ აქვს გავლენა; მაგრამ ეს გავლენა საზრდოისა მართლა ისეთი ძლიერი და ყოვლად-შემძლებელი არ არის, რომ ყველაფერი ამით ავხსნათ.

რომელიმე ხალხის მდგომარეობაზედ, ისტორიულს ბედზედ, ხასიათის შედგენაზედ და სხვ. ათასს სხვას მოვლენას, გარემოებას, ისტორიულ ფაქტს, გარეშემო ბუნებას და სხვა ამ გვარ რამეებს ჰქონიათ ზედ-მოქმედება და არა მარტო საჭმლის თვისებას.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ევროპიელი გლეხი მხოლოთ იმიტომ დგას ჩვენს გლეხზე ყველაფრით წინაო, რომ ის უფრო ხორცსა სჭამს და ჩვენი გლეხი მცენარეულსაო.

გამოძიებამ ჯერ ნამდვილი დამნაშავეები ვერ აღმოაჩინა. ტელეგრამმამ გვაცნობა მხოლოთ, რომ იმათ კვალს მიაგნეს და Cარსკოე სელოში რამდონიმე კაცი დაატუსაღესო.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი**, 10 აგვისტოს. სულთანსა და ინგლისის ელჩს ლეიარდს შუა უკმაყოფილება ჩამოვარდა მცირე აზიაში რეფორმების შემოღების თაობაზედ. ამ რეფორმებზედ არც ოსმალეთის მინისტრების რჩევა თანხმდება. ორშაბათს აქედამ გაგზავნეს ჯარები სამოსის კუნძულზედ და სმირნაში, სადაც ხალხმა უწესოება მოახდინა. ოდიალ-ფაშას მოუვიდა მოწერილობა, რომ ევროპაში წავიდეს.

**ბელგრადი**, 10 აგვისტოს. მთავარმა მილანმა ოფიციალურად გამოაცხადა ბერლინის კონგრესსის გადაწყვეტილება სერბიის შესახებ. სერბია დღესასწაულობს დღეს თავის განთავისუფლებას.

**პეტრბურღის ბირჟა**, 10 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 97—25 |
| მეორესი — — — — | 96—25 |
| მესამესი — — — — | 96—12 |
| მეოთხესი — — — — | 95—37 |
| აღმოსავლეთის — — | 95—25 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი— | 7—94 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 236—35 |
| მეორე სესხის — — — | 237— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი— — | 25—12 | პენსი |
| ამსტერდამი— — | 127—25 | ცენტი |
| ბერლინი— — — | 214— „ | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 262—65 | სანტიმი |

# განცხადებანი

დაიბეჭდა და **ისყიდება** გ. ჩარკვიანის **წიგნის მაღაზიაში** და თელავს—სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან

**„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა“**

ტრაგედია ოთხ მოქმედებად, თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

---

„კავკასიის წიგნის სავაჭრო მაღაზიაში“ (Кавказская Книжная Торговля), ძოკიის ხიდის თავში, ა. ზუბალოვის სახლებში ისყიდება:

1. **„სიბრძნე-სიცრუის წიგნი“** (ქართული არაკები დაზღაპრები მე-XVII და XVIII საუკუნისა) თხზულება **საბა-სულხან ორბელიანისა**, რუსულად ნათარგმნი და განმარტებული ალ. Cაგარელისაგან. პეტერბ. 1878.

**ფასი** თათო წიგნისა 1 მან. 50, გაგზავნით რვა აბაზი.

---

**ისყიდება** პარტიითა და თითო კულითაცა **თამბაქო**, მახორკა, ნაკლებ ფასათ.

**ადრესი**: გალერეი არწრუნისა, № 146. **ივანე ალხაზოვი.**

---

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან ახალი წიგნი

# ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძისა, ივანე კერესელიძისა, იოსებ ბაქრაძისა და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა

ფასი ორი შაური.

---

**ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:**

1) **დედა ენა**, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

---

**გამოვიდა და ისყიდება**

# „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“ კ. მესხისაგან.

**ისყიდება: თფილისში**—ყველა წიგნი მაღაზიებში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

**ფასი ყველგან ექვსი შაური.**

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . . . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) **თფილისიდამ**: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. **ზუგდ.** ორშ. და ხუთშ. **ოზურ.**—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქუთაისიდამ**: **თფილისისა** და **ფოთისაკენ**—ყოველ დღე, კვირას გარდა. **ოზურგეთს**—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 12 აგვისტ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 2 | — |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 70 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 30 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 40 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . . . | 6 | — |
| ქონის სანთელი ფუთი . | 8 | 80 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 5 | 20 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 60 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 14 | 15 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 12 | — |

**თფილისის სამკურნალო**

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 8 საათიდამ 10-მდინ.

**ორშაბათს**: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—თვალისა და ხირურგიულ.

**სამშაბათს**: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი ვენერიულისა და კანის ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი**: ვერმიშევი შინაგანი, ბაქსტი—გულის და ნერვების

**ხუთშაბათს**: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი გულის, ქიუჩარიანცი—იფილიტიკური და საშვილოსნო ორგანების, ა. ბ ხუტოვი—ქალის და ნერვების.

**პარასკევს**: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი--ქალისა და ბავშვების.

**შაბათს**: ვერმიშევი შინაგ., ბაქსტი-გულისა და პეუნოვი—თვალის.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Августа 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.